

საღებავებისა და კედლის საფარების სახელმწიფო შესყიდვის აუქციონის გარეშე  
ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი #1

ქ. ბათუმი

07 თებერვალი, 2018 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. თენგიზ ქოქოლაძე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, შპს „ბათუმის წყალი“-ს გენერალური დირექტორი;
2. ზაზა გოგიტიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, შპს „ბათუმის წყალი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში;
3. სერგო დუმბაძე - სატენდერო კომისიის წევრი, შპს „ბათუმის წყალი“-ს ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;
4. მანუჩარ მანველიძე - სატენდერო კომისიის წევრი, შპს „ბათუმის წყალი“-ს სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი;
5. მურადი ბერიძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, შპს „ბათუმის წყლის“ სახელმწიფო შესყიდვების მთავარი სპეციალისტი.
6. მამუკა კალანდარიშვილი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, შპს „ბათუმის წყლის“ სახელმწიფო შესყიდვების წამყვანი სპეციალისტი.

*სატენდერო კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის წევრები: რამაზ ასანიძე და შალვა ფხალაძე.*

**დღის წესრიგი:**

საღებავებისა და კედლის საფარების (CPV კოდი 44111400 - საღებავები და კედლის საფარები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

**განხილვა:**

სატენდერო კომისიის წევრმა მ. მანველიძემ სატენდერო კომისიას წარუდგინა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან სისტემაში ელექტრონულად შევსებული საღებავებისა და კედლის საფარების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო პირობების პროექტი. კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. განხილვის შემდეგ სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ წესის“ მოთხოვნებს.

**კომისიამ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საღებავებისა და კედლის საფარების (CPV კოდი 44111400 - საღებავები და კედლის საფარები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

2. სატენდერო კომისიის წევრს მ. მანველიძეს დაევალოს, სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობებით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არაუგვიანეს 2018 წლის 07 თებერვლისა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

თ. ქოქოლაძე

სატენდერო კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილე:

ზ. გოგიტიძე

სატენდერო კომისიის წევრი:

ს. დუმბაძე

სატენდერო კომისიის წევრი:

მ. მანველიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

მ. ბერიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

მ. კალანდარიშვილი